„დამტკიცებულია"
ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის
რექტორის სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2022 წლის 17 ივნისი № 01-03/10 ბრძანებით

„შევიდა ცვლილება"

ცვლილება 2023 წლის 10 მარტის № 01-03/03 ბრძანებით

ცვლილება 2026 წლის 20 მაისი № 01-03/02 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო

უნივერსიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ხიჭაური 2022 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომ ტექსტში „უნივერსიტეტი”) დამფუძნებელია სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი №1, გადასახადის გადამხდელის № 204395537).

1.2. უნივერსიტეტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამის განხორციელება და მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის მიმართული ღონისძიებები.

1.3. უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, აგრეთვე, უნივერსიტეტის წესდებას, წინამდებარე დებულებას და შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებს (ნორმატიული და ინდივიდუალური).

1.4. საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, რეგულირდება უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით(ნორმატიული და ინდივიდუალური), უნივერსიტეტის წესდებით და დებულებით.

1.5. უნივერსიტეტი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

1.6. უნივერსიტეტის საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია.

1.7. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული.

1.8. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: შუახევის რაიონი, სოფ.ტაკიძეები, (ხიჭაური).

მუხლი 2. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიზნები

2. 1 ყველა დაინტერესებულ პირს შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება;

2.2 განახორციელოს სათანადო სწავლება და განუვითაროს სტუდენტებს შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები;

2.3 აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის მატარებელი პიროვნება;

2.4 ქართველი ერის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის სულიერების ამაღლების მიზნით განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები – საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, ბიზნესისა და ჯანდაცვის დარგებში; განახორციელოს მართლმადიდებელი ქრისტიანული საწრმუნოების განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის ტაძართა მშენებლობა და სხვა საჭირო ღონისძიებები.

2.5 სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევითი პირობების შექმნა;

2.6 პიროვნული პოტენციალის რეალიზება, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების

მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მოთხოვნათა პირებისათვის.

მუხლი 3. უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია:
   ა) ფაკულტეტი (დეკანი, ფაკულტეტის საბჭო);
   ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
   გ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
   დ) სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური;
   ე) იურიდიული განყოფილება;
   ვ) შრომის უსაფრთხოების განყოფილება;
   ზ) საერთშორისო ურთიერთობის განყოფილება;
   თ) საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება;
   ი) ბიბლიოთეკა;
   კ) პროფესიული განათლების ცენტრი.
   ლ) სტატეგიული განვითარების განყოფილება.
   ი) ადმინისტრაციული, სამეცნიერო, სასწავლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მართვა

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია):
   ა) რექტორი;
   ბ) პრორექტორი;
   გ) ადმინისტრაცია ;
   დ) აკადემიური საბჭო;
   ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 5. რექტორი

1.1 უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი - რექტორი არის უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი პირი და სარგებლობს უნივერსიტეტის სრული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით.

1.2 ასრულებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მითითებებს და სარგებლობს იმ უფლებამოსილებით, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით უნივერსიტეტის დამფუძნებელს ენიჭება უნივერსიტეტის მიმართ;

1.3 ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულის დებულებებს, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს დამარეგულირებელ წესს;

1.4. ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;

1.5 ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს და კონტროლს უწევს მის შესრულებას;

1.6 ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას, საშტატო განრიგს, სახელფასო ბადეს და უნივერსიტეტის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების წესს;

1.7. ქმნის მუდმივ და დროებით სტრუქტურულ ერთეულებს და ამტკიცებს მათ დებულებებს;

1.8. განიხილავს უნივერსიტეტში შემოსულ წინადადებებს, განცხადებებს, საჩივრებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

1.9. წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში, რომლის დროსაც ის მოქმედებს ერთპიროვნულად და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია;

1. 10. დებს გარიგებებს მესამე პირებთან, გასცემს მინდობილობებს, წყვეტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და დებულებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.

1.11 ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს;

1. 12 რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი და აკადემიურისაბჭოს თავმჯდომარე.

1. 13. რექტორი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიიღოს და გაათავისუფლოს უნივერსიტეტის პერსონალი.

1. 14. დებულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად რექტორი უფლებამოსილია:

ა) კოორდინირება გაუწიოს უნივერსიტეტის ყოველდღიურ აკადემიურ, სამეცნიერო, ფინანსურ-ეკონომიკურ, ტექნიკურ და საქართველოს კანონმდებლობით, ასევე, ამ დებულებით განსაზღვრულ ყველა სხვა საქმიანობას;

ბ) მოიწვიოს და უხელმძღვანელოს აკადემიური საბჭოს სხდომებს, ასევე ისარგებლოს აკადემიური საბჭოს წევრისათვის დადგენილი უფლებამოსილებით;

გ) რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

დ) ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის თანამშრომლებს და უნივერსიტეტის სახელით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან;

ე) გასცემს განათლების დამადასტურებელ მოწმობებს წინასწარ განსაზღვრული ფორმისა და წესის მიხედვით;

ვ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 6. აკადემიური საბჭო

1.1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო

ა) უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც ინიშნებიან წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.

ბ) აკადემიური საბჭოს წევრად შესაძლებელია დაინიშნოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება დანიშნულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

გ) აკადემიური საბჭოს წევრები ინიშნებიან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადით.

დ) აკადემიურ საბჭოში თავმჯდომარის სტატუსით შედის უნივერსიტეტის რექტორი.

ე) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტს ჰყავს თავისი წარმომადგენელი.

2.2 აკადემიური საბჭოს უფლება/ვალდებულებები:

ა) ხელს უწყობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

ბ) ღებულობს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ;

გ) აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით და პროფესიულ პროგრამებს და პროგრამაში შესატან ცვლილებებს;

2.3. აკადემიური საბჭო ისმენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს;

ა) იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;

ბ) ახორციელებს საერთაშორისო ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

გ) აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

დ) აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით;

ე) აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, არყოფნის ან/და სხვა შემთხვევაში, საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების უფლება მიანიჭოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რომელიმე წევრს.

4. **აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები:**

ა) უნივერსიტეტთან შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, შეზღუდულ ქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარება;

გ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

ე) აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს წევრის არჩევა ხდება უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

ვ) რექტორი უფლებამოსილია შეწყვიტოს აკადემიური საბჭოს საქმიანობა.

ზ) აკადემიური საბჭო ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

მუხლი 7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

7.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

7.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის - რექტორის მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით.

7.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს:

7.4. უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებას;
7.5. სწავლების ხარისხის მაღალ დონეზე განხორციელებას;
7. 6. სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვას.
7.7 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.
7.8 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.

მუხლი 8. პრორექტორი

8.1. უნივერსიტეტს ჰყავს პრორექტორი აკადემიურ დარგში, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო/სამეცნიერო საქმიანობის ზედამხედველობას;
8.2. პრორექტორი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის – რექტორის წინაშე.

მუხლი 9. ფაკულტეტი

9.1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია ფაკულტეტი.
9.2 ფაკულტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით სტუდენტთა მომზადებას და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭებას.
9.3 ფაკულტეტზე სწავლება მიმდინარეობს საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების შესაბამისად.
9.4 ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება იყოს კათედრა, ლაბორატორია, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და სხვა სტრუქტურული ერთეული.
9.5 ფაკულტეტის მმართველ ორგანოებს წარმოადგენენ: დეკანი და ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 10. ფაკულტეტის საბჭო

10.1 ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შეიმუშავოს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს:
ა. ფაკულტეტის განვითარების გეგმა;
ბ. სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
გ. შეიმუშავებს, ადგენს, განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამებს, მათში შესატან ცვლილებებს აკადემიურ საბჭოს;
დ. კანონით განსაზღვრული სხვა საკითხები.
10.2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე - დეკანი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს შიდასამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს, რომლებსაც ამტკიცებს რექტორი.
10.3 ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცედურებში შესაძლებელია ჩაერთონ სტუდენტები.
10.4 ფაკულტეტის საბჭო განსახილველ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე გონივრული ვადის ფარგლებში ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს.

10.5 სტუდენტის ჩართულობა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში არის ნებაყოფლობითი, ნებისმიერ სტუდენტს უფლება აქვს წარადგინოს ფაკულტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები და შენიშვნები, ასევე მონაწილეობა მიიღოს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანი

11. 1 ფაკულტეტის დეკანს (შემდგომში - დეკანი) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

11. 2 ფაკულტეტის დეკანი შეიძლება იყოს მხოლოდ პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი.

11. 3 დეკანი არის ფაკულტეტის მმართველი სუბიექტი.

11. 4 დეკანის უფლებამოსილება და კომპეტენცია განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

11.5 უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;

11. 6 მონაწილეობს ფაკულტეტის განვითარების გეგმის, საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების შემუშავებაში;

11.7 თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მმართველი სუბიექტების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების და გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

11. 8 დეკანს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე. რომელიც უზრინველყოფს სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობას.

მუხლი 12. იურიდიული განყოფილება

12.1 უნივერსიტეტის იურიდიული განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდანორმატიული აქტებით.

12. 2 იურიდიული განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

12.3 იურიდიული განყოფილების მიზანია უნივერსიტეტის ორგანიზაციული ფუნქციონირების, მისი მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა.

12.4 უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას უნივერსიტეტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში;

12.5 ორგანიზებას უწევს დებულებით მისთვის დასახული ამოცანების გადაწყვეტას, რისთვისაც უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;

12.6 თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების), სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების და ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას/ვიზირებას;

12.7 ახდენს სამართლებრივ შეფასებას უნივერსიტეტში არსებულ ყველა სამართლებრივ

დოკუმენტაციაზე.

12.8. იურიდიული განყოფილების საქმიანობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.

მუხლი 13. საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება

13.1. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნას, მის მართვას და სისტემატიურ განახლება-გაფართოებას, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარებას, უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის გამართულ მუშაობას.

13.2 საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის წინაშე.

13.3 საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების მუშაობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.

მუხლი 14. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

14.1 „უნივერსიტეტი“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

14.2 „უნივერსიტეტი“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს „უნივერსიტეტი“ის რექტორი.

14.3 „უნივერსიტეტი“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ, საგანმანთლებლო და სამეცნიეროკვლევით დაწესებულებებთან და მასმედიასთან უნივერსიტეტის საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა;

გ) უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და „საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი წესი“-ით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

14.4. „უნივერსიტეტი“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

14.5 საზოგადოების უღტეიერთობის სამსახურის მუშაობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.

მუხლი 15. სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური

15.1 სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

15.2. სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც

თანამდებობაზენიშნავს და ათავისუფლებს „უნივერსიტეტი“-ის რექტორი.

15.3 სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის მიზანია განახორციელოს კარიერული კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ასევე უზრუნველყოს სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების მექანიზმების ხელშეწყობა.

15.4 სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

15.5 სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის საქმიანობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.

მუხლი 16. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება

16.1 საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

16. 2 განყოფილების ფუნქციებია:

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული საკითხების შესრულება, უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;
- საქართველოში წარმოდგენილ უცხოურ ორგანიზაციებთან: საელჩოებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა;
- საქართველოში აკრედიტებული უცხოური მისიების, საელჩოების და საერთაშორისო ორგანიზაციებზე საინფორმაციო ბანკის შექმნა-წარმოება-განახლება და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

16.3 საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს „უნივერსიტეტი“-ის რექტორი და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

16.4 საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების საქმიანობის წესი და პირობები რეგულირდება ცალკე დებულებით.

მუხლი 17. ადმინისტრაცია

17.1 ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებას, ადამიანური რესურსების მართვას, საკანცელარიო საქმიანობის წარმართვას და ზედამხედველობას.

17.2 ადმინისტარციის ხელმძღვანელი ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს სასწავლო საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით.

17.3 ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

17.4 ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

17.5 ადმინისტრაციის მუშაობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.

17.6 ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქცია მოვალეობები განისაზღვროს ცალკე დებულებით.

მუხლი 18. შრომის უსაფრთხოების სამსახური

18.1 შრომის უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში „სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს. შრომის უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში „სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

18.2 სამსახურის ძირითადი ფუნქციაა ორგანიზაციის შრომის უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგი. მოსალოდნელი საფრთხეების, უბედური შემთხვევების რისკების შეფასება და პრევენცია;

18. 3 შრომის უსაფრთხოების სამსახურის ფუნქცია მოვალეობები განისაზღვროს ცალკე დებულებით.

მუხლი 19. ბიბლიოთეკა

19.1 ბიბლიოთეკას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
19.2 ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია პრორექტორის წინაშე.
19.3. ბიბლიოთეკის საქმიანობის წესი და პირობები განისაზღვრება ბიბლიოთეკის დებულებით.

მუხლი 19 [1] პროფესიული განვითარების ცენტრი

პროფესიული განათლების ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა და განვითარება. პროფესიული ცენტრის ფუნქცია მოვალეობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.
(ცვლილება, 10.03.2023 წ. #01-03-3)

მუხლი 19 [2] სტრატეგიული განვითარების განყოფილება

სტრატეგიული განვითარების განყოფილება (შემდგომში – „განყოფილება“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების კოორდინაცია. განყოფილების ფუნქცია მოვალეობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.
(ცვლილება, 10.03.2026 წ. #01-03-)

მუხლი 20. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

20.1 აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

20. 2 პროფესორის თანამდებობაზე:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით განსაზღვრული ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს;

ბ) უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა).

20. 3 ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

20.4 ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.

20.5 ასისტენტის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

20. 6 ამ მუხლის 21.2-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პროფესორის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება ამ მუხლის 7. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობაზე არჩეული პროფესორი, რომელიც პროფესორის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ პროფესორის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.

20.7 პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობების დაკავება შესაძლებელია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების

გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

20.9. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების, წესი და პირობები განისაზღვრება უნივერისიტეტის ,,პერსონალის მართვის პოლიტიკის'' დოკუმენტის შესაბამისად.

მუხლი 21. უნივერსიტეტის პერსონალი

21.1 უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალი.

21.2 პერსონალის სამსახურში მიღების და განთავისუფლების წესი რეგულირდება დებულებით და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული შესაბამისი აქტებით.

21.3 უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წესებსა და ტრადიციებს.

21.4 იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება, ან/და ცნობილი გახდება სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტი, პერსონალი ვალდებულია რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ ფაქტზე, დაუყონებლივ განაცხადოს ზემდგომ ხელმძღვანელ პირთან შესაძლო ინტერესთა ინტერესთა კომფლიქტზე, თავი შეიკავოს საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისაგან მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული უფლებამოსილი პირის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება ინტერესთა კომფლიქტის გადაჭრის კუთხით.

მუხლი 22. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

22.1 აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისაგან, ასისტენტ - პროფესორებისაგან და ასისტენტებისაგან.

22.2 უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და დაწესებულების დებულების შესაბამისად;

ბ) განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობადა სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ) განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

22. 3. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების და დებულების მოთხოვნები;

ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები; გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

დ) სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

22. 4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

მუხლი 23. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი

23.1 სამეცნიერო პერსონალი შეიძლება შედგებოდეს მეცნიერებისა და პოსტდოქტორანტებისაგან.

23. 2 მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.

23.3 პოსტდოქტორანტია პირი, რომელიც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად კონკურსის საფუძველზე აირჩევა ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში.

მუხლი 24. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები

24. 1. სამეცნიერო პერსონალთან იდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება.

24. 2 სამეცნიერო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) დისციპლინური ნორმების უხეში ან სისტემატიური დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

24.3 აკადემიური თანამდებობისა და სამეცნიერო თანამდებობის შეთავსების საკითხი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 25. აკადემიური წოდებები

25.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს, მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის ან ემერიტუსის წოდება.

25.2 საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების წესი და პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით. დებულებით შეიძლება განისაზღვროს ემერიტუსის წოდების მქონე პირისთვის ანაზღაურების მიცემის შესაძლებლობა.

25. 3. ემერიტუსის წოდების მქონე პირს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოს იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობა.

მუხლი 26. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უფლებები

26.1 აკადემიურ პერსონალს კომპეტენციის შესაბამისად უფლება აქვს:
ა) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში საქართველოს კანონმდებლობის და ამ დებულების შესაბამისად;
ბ) განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

26[1]. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების და საუნივერსიტეტო სხვა აქტების მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
გ) სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მუხლი 27. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლება

27.1 აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
გ) საუნივერსიტეტო სამართლებრივი ნორმების უხეში ან სისტემატიური დარღვევა;
დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
ე) პენსიაზე გასვლა ან ემერიტუსის წოდების მინიჭება;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 28. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლება

28.1 ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
გ) გარდაცვალება;
დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება, ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდანორმატიული აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 29 . უნივერსიტეტის სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი

29.1 სტუდენტის სამართლებრივი დამოკიდებულება უნივერსიტეტთან განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, შრომითი ხელშეკრულების, ეთიკის კოდექსის და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 30. უნივერსიტეტის ბიუჯეტი

30.1 უნივერსიტეტის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს მიერ და საკუთარი შემოსავლების, მათ შორის, მოძიებული სახსრების საფუძველზე.
30.2 უნივერისტეტის ფინანსური მდგომარეობის შემოწმებას ახდენს საქართველოს საპატრიაქროს საფინანსო სამსახური, როცა თავად ჩათვლის საჭიროდ.

მუხლი 31. უნივერსიტეტის ქონება

31.1 უნივერსიტეტის ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოს, იურიდიული და კერძო პირების მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

მუხლი 32 უნივერსიტეტის დაფინანსება

1. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:
ა) გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
ბ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
გ) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.
2. უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის სოციალური დაცვის, ცალკეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის და სხვა მიზნების შესაბამისად, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შექმნას ფონდები, განსაზღვროს მათი ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები და პირობები, მის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების წესი და სხვა მოთხოვნები.

მუხლი 33. რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

33.1 უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.
33.2 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები. დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები.

33.3 უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ეკუთვნის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

მუხლი 34. ინსტიტუტი

34.1 ,,უნივერსიტეტი“-ში ფუნქციონირებს წმიდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართველოლოგიური კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.